ოქმი:**ო37.37220911**
თარიღი:**01/04/2022**

ოქმი # 7

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2022 წელი, 30 მარტი

ქ. ოზურგეთი

16^{00} – 17^{00} საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ლ. ბიგვავა, ტ. აროშიძე, ნ. ჭანიშვილი, გ. ჩავლეშვილი, ბ. თოიძე, ქ. ხომერიკი, დ. ჭაკნელიძე, მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე, პ. კიღურაძე, დ. მჟავანაძე.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გ. ღურჯუმელიძე, მოადგილე ნ. გოლიაძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და მერიის პასუხისმგებელი პირები, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 12 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დაამტკიცეს.

საკითხების განხილვის დაწყებამდე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ დ. მჟავანაძემ განაცხადა, რომ საკრებულოში ფრაქციამ შემოიტანა განცხადება-ინიციატივა ქ. ოზურგეთში არსებულ მოსკოვის ქუჩისათვის სახელის გადარქმევის და „კიევის ქუჩის“ დარქმევის თაობაზე.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: პაატა კიღურაძე

2. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების შესახებ". ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

სკითხი განსახილველად დაეწერა საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებსა და ფრაქციებს.

3.. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

4. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

5. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წელს დამტკიცებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მიერ 2021 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნანა თავდუმაძე

გადაწყვიტეს:

1. დღის წესრიგში წარმოდგენილი N1,2,3,4,5 საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში, ამასთან N1,3,4 საკითხები განხილვისა და დამტკიცების, N 5 განხილვისა და ცნობად მიღების, N 2 საკითხი განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმობაზე დაყენების მიზნით, ამასთან ეს საკითხი განსახილველად დაეწეროს სკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებსა და ფრაქციებს.

2. N 6 საკითხი მიღებულ იქნას ცნობად.

საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ ფრაქცია „ოზურგეთი საქართველოსათვის“ თავმჯდომარემ ალ. ბურჭულაძემ ითხოვა სხვადასხვა პრობლემებზე საკრებულოს სხდომაზე განცხადების გაკეთება.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი